ქალთა დაცვის კავშირი ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაციაა საქართველოში არსებულ 150-ზე მეტ პარტიას შორის, რომლის სამოქმედო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ქალთა, ოჯახის პრობლემებს უკავია.

ქალთა, ბავშვთა და ოჯახის პრობლემები კი პოლიტიკური მნიშვნელობისაა და იგი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

ქალის ცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესება არის ურთულესი, მეტად სერიოზული პრობლემა.

ქალი ცენტრალური ფიგურაა ოჯახში, საზოგადოებაში.

უპირველეს ყოვლისა ქალთა დაცვის კავშირი აყენებს ქვეყნის განვითარების, მისი კეთილდღეობის საკითხს. თუ ეს პრობლემა ვერ მოგვარდა, მაშინ ზედმეტია ქალთა მდგომარეობის რაიმე გაუმჯობესებაზე ანდა საერთოდ, ქალთა დაცვის შესახებ რაიმე სერიოზული საუბარი.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელი ხელისუფლება ყურადღებას არ უთმობს თითოეული ოჯახის კეთილდღეობას, არადა ოჯახი სახელმწიფოს ქვაკუთხედია.

**უჭირს საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით უჭირთ ქალებს, დიასახლისებს, უჭირთ მრავალშვილიან დედებს, მარტოხელებს, მოხუცებს, ლტოლვილებს, ინვალიდებს, უჭირთ შრომისა და ომის ვეტერანებს, სოციალურად დაუცველ ფენას, ახალგაზრდა ოჯახებს, სტუდენტებს, ინტელიგენციას.**

**ქალთა დაცვის კავშირს მიაჩნია, რომ ამ პრობლემების მოგვარება უნდა იყოს ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულება.**

**ქალთა დაცვის კავშირის მიზანია ქალების, ბავშვების მოხუცების და საერთოდ თითოეული ოჯახის კეთილდღეობა ვაქციოთ სახელმწიფოს უპირველეს საზრუნავად.**

მეორეს მხრივ მოსახლეობის ნახევარს ქალები წარმოადგენენ, დემოკრატია წარმოუდგენელია მამაკაცისა და ქალის ჰარმონიული თანამშრომლობის გარეშე. საჭიროა მამაკაცებთან ერთად სახელმწიფო მშენებლობის ყველა სფეროში ქალთა ინტელექტუალური პოტენციალის ჯეროვნად გამოყენება.

დემოკრატიზაციის განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაში ქალების მონაწილეობის გაზრდა მმართველობის ყველა რგოლში, მათ შორის პარლამენტშიც.

**დადგა დრო, საქართველოში მეტი ქალი აქტიურად მოვიდეს დიდ პოლიტიკაში, რათა სწორედ ოჯახის, საზოგადოების სასიკეთოდ შეიცვალოს სახელმწიფოებრივი აზროვნება.**

2(m

განვითარებულ ქვეყნებში პარლამენტართა 45% ქალია. ჩვენთან კი ბოლო ორი მოწვევის პარლამენტში ქალთა რაოდენობა არ აღემატება 7%, ალბად ამიტომაცაა საქართველოს პარლამენტი ასეთი აგრესიული, უპასუხისმგებლო და ქმედითუუნარო.

**სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფუძემდებლურ საკითხებთან ერთად ქალთა დაცვის კავშირის სამოქმედო პროგრამაში პრიორიტეტული მიმართულებებია:**

1. ქალთა უფლებების, ინტერესების დაცვა და გაფართოება
2. ქალთა, ბავშვთა და ოჯახის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა
3. თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება
4. ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბება
5. შიდა ვალების გასტუმრება

n 124/1543

ქალთა დაცვის კავშირში დამუშავდა საქართველოს მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფოებრივი პროგრამა, რომელიც გამოქვეყნებულია პრესაში, აგრეთვე ქალთა დაცვის კავშირში შემუშავებული და გამოქვეყნებულია ქალთა დაცვის სოციალური გარანტიების პროგრამის კონცეფცია.

ქალთა დაცვის კავშირი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის პრობლემებს. **ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია უახლოესი ათწლეული ოფიციალურად გამოცხადდეს ახალგაზრდობის ათწლეულად, როდესაც განხორციელდება სპეციალური ღონისძიებები ქვეყნიდან ახალგაზრდობის მასიური გადინების შეჩერებისათვის, მათთვის შემოქმედებითი საქმიანობის პირობების შექმნისათვის, საზოგადოებაში ახალგაზრდობის პრესტიჟის ყოველმხრივი ამაღლებისათვის.** ახალგაზრდობა ხომ ჩვენი ქვეყნის მომავალი, მთავარი სიმდიდრე და ძალაა.

**ქალთა დაცვის კავშირს შემუშავებული აქვს კონკრეტული კანონების პროექტები ქვეყნის ყველაზე ღარიბი და დაუცველი ფენის - პენსიონერების, ინვალიდების, უსახლკაროების, სულით ავადმყოფების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს კანონპროექტებია: 1) კანონი მრავალშვილიანი ოჯახების შესახებ 2) კანონი პენსიონერების შესახებ 3) კანონი ინვალიდების შესახებ 4) უპატრონო ბავშვების შესახებ 5) მიწისძვრით დაზარალებულთა და უსახლკაროთა დახმარების შესახებ.**

პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში პირველსავე სესიიდან დავიწყებთ ამ კანონებზე მუშაობას და მათ ლობირებას.

ნარგიზ გვალია

დაიბეჭდა შ.პ.ს. "სი-ჯი-ეს"-ში, თბილისი ა. წერეთლის 118. ტირაჟი 5000, 19.X. 2003 წ.
შემკვეთი: ნარგიზ გვალია. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 75ბ, ბინა 16.

ახალი ძალა, ახალი სახეები პარლამენტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალთა დაცვის კავშირი



# 21

# დავიცვათ ქალი, ოჯახი, სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნარგიზ გვალია



ქალთა დაცვის კავშირის თავმჯდომარე

პოლიტოლოგი

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

წარმოებაში დანერგილ გამოგონებათა ავტორი

კინოდრამატურგი

## რუსუდან ხაჭაპურიძე



ექიმი ეპიდემიოლოგი, ქალთა დაცვის კავშირის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე

არსებულ საკანონმდებლო ბაზის დახვეწით და ახლის შევსებით დავიცავთ ქართულ ბაზარს არასრულფასოვანი საკვები პროდუქტებისაგან. ვიბრძოლებთ რათა მოსახლეობას მიეწოდოს საკმარისი და ხარისხიანი სასმელი წყალი.

ვიბრძოლებთ რათა სახელმწიფომ ყოველწლიურად უფასოდ უზრუნველყოს ქალთა მამოგრაფიული გამოკვლევა.

## მარინე ნიკოლაიშვილი



ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, თსუ პროფესორი

პარლამენტში ჩვენ გარემოს გაჯანსაღებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის საკანონმდებლო ბაზას შევავსებთ.

## იზოლდა ჭილაძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ დოცენტი

პარლამენტში მოსვლის შემთხვევაში მთელი ძალისხმევით განვახორციელებთ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროგრამას, რომელიც ქალთა დაცვის კავშირშია დამუშავებული.

## ეკატერინე ლორია



ბიოლოგი, საწარმოო გაერთიანება „აზოტის" ლაბორანტი.

ჩემი მიზანია ახალგაზრდების დასაქმების საკითხებზე მუშაობა. რუსთავში მოსახლეობის დასაქმება ყველაზე დიდი პრობლემაა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ახალგაზრდების ემიგრაცია ქვეყნიდან.

## შარლოტა კვანტალიანი



პოეტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სალიტერატურო-სამეცნიერო გაზეთ „კალმასობის" მთავარი რედაქტორი.

მე მშვიდად როგორ უნდა ვიცხოვრო
ჩემი შვილების ტოლი ბავშვი
მათხოვრობს როცა,
გამიცივდება მხურვალე ლოცვა,
გამიმწარდება ნანატრი კოცნა
ჩემი შვილების ტოლი ბავშვი
მათხოვრობს როცა.

## მაია ასაკაშვილი



ჟურნალისტი, ფსიქოლოგი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალიზაციისათვის საზოგადოებაში, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები.

ქალთა დაცვის კავშირი აქტიურად იბრძვის ამ მნიშვნელოვანი პრობლემის უკეთ მოგვარებისათვის.

## ია მერკვილაძე



ექიმი-პედიატრი

ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვა ჰარმონიული და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობად მიმაჩნია. ქალი პოლიტიკაში ოჯახისა და ქვეყნის სტაბილურობის გარანტიაა.

## თინათინ მაღლაკელიძე



ქუთაისის გრიგოლ ხანძთელის სახელობის ხელოვნებისა და პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი

დღეს კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური პრობლემების, ეკონომიკის, დემოგრაფიის და სხვა პრობლემის გადაწყვეტა, სამშობლოს სიყვარული, ქართველი ერის სამსახურია

## კობა მახაშვილი



ტექნოლოგი

მე, როგორც დეპუტატობის კანდიდატი, ყველას მოვუწოდებ მხარი დაუჭიროს ქალთა დაცვის კავშირს, რომელიც იბრძოლებს ისეთი აგრარული რეფორმების გატარებისათვის, რაც საფუძველს ჩაუყრის ეროვნული სოფლის მეურნეობის აყვავებას.

## ნატო ნიკურაძე



პედაგოგი

გაუსაძლისი პირობები აქვს მცირე ბიზნესში მომუშავე ადამიანებს, განსაკუთრებით ქალებს. ჩემი ოცნებაა პარლამენტში ყოფნით მათ მუშაობის პირობები გავუუმჯობესო.

## გიორგი ბოჭორიშვილი



ინჟინერი

ძვირფასო ამომრჩევლებო! - ქალებს ხომ უდიდესი ძალა გააჩნიათ, ქალის განვითარების დონე ხომ ქვეყნის განვითარების დონეს განსაზღვრავს! არ მოგბეზრდათ ერთი და იგივე სახეების ცქერა და მათი დაპირებების მოსმენა? - მოდით ახლა ყველამ ერთად ვცადოთ ქალთა დაცვის კავშირის მხარდაჭერა.

## დალი მელქაძე



ინჟინერ-მეტალურგი, ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარე.

ჩვენი პარტიის პროგრამის მნიშვნელოვანი საკითხია მოსახლეობის შიდა ვალების გასტუმრება. საჭიროა ამ საკითხებზე მყარი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

## ლამარა ნიკოლაიშვილი



პედაგოგიური მეცნიერების კანდიდატი

ქართველი ერი უკვდავია, უკვდავია ენა ქართული, მამული ჩვენი... თითოეული ჩვენთაგანის ფიქრისა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს ჩვენი სამშობლო, მისი მომავალი, რომლის საძირკველი ოჯახია.